

# ଶ୍ରୀମଦ୍ଭଗବତ

## 1883-1886

8 ၁ ၄ ၃ ၂ ၀ ၈ ၂ ၁ ၂ ၈ ၂ ၂		
၅	၂၁၄	
၃	—	
၆	—	
၄	—	
၃	—	
၂	—	

Зы<sup>и</sup>йтурс өзүлөөс და үзүүлүү ғанаңа წүрмөлдөбөс га<sup>и</sup>жүүк<sup>и</sup>н<sup>и</sup> үйүндөлгөө<sup>и</sup> күрдүүлүп<sup>и</sup> аш<sup>и</sup> өңгөрүү<sup>и</sup>: В<sup>и</sup> ىئى-  
رىلى، В<sup>и</sup> ىەداكىپ<sup>и</sup> „Мүхәмм<sup>и</sup>“ (Пастыр<sup>и</sup>).

კულტურის და კორესპონდენციის, რომელიც  
რეალურაში იქმნებან გამოგზავნილნი დასაქმედებათ,  
უთუნდ ვრცლად და გასაგებად უზია იუვენი აგრძირთაგან  
ხელ-მოწყობილი. აგრძირთაგან გამოგზავნილი სტატიები  
შეიძლება ხარ-დის-ხან შემოკლებით და შესწორებით  
დაიბეჭდონ.

ს ტრატია, რომელიც არ დაიხეჭდებიან, სამი თვის  
განმავლობაში შეიძლება ავტორებს მათის ხარჯით უკან-  
ებ დაეგდონა.

სტატიიები მიღებიან რუსულ ენაზედ დაწერილნიც  
და თავისწინით დაიბეჭდებიან.

6. የጤዥና የፌዴራል ተቻለ ስራውን አይደለም ይፈጸማል  
ለዚህ በኋላ ተከታታለሁ ይረዳዋል?

სკუტი ცხოვლობა, (გცხეთობა).

ՑՇԱՀՈՅԵՐԴ ՏԵՂԻՆ ԿԵՐՊԵԼՈ. ԻՎԵՆ ՇՈԼՈ ԵՆԻ  
ԼՄՐԱՋԸՆ : ՃԱԳՅՈՒՆ ՄԱ, ՃԱԳՅԵՄԱՀՈՅ ՏԵՂԻՆ ԿԵՐՊ-  
ԷՐՈՅԱՆ ՄԱԿՅԵԹԱ. ՑԵՐԻ ԻՆ ԿԱՐՑՈ ՑԱԽՎԵՐՆԱ ԻՎԵՆ Ի  
ԺԱՌՈՎԵԼԵՑԻՆԱԳԱՆ ԱՄ ՇԼՈՍ ՇԼԵՍԵՄԱՅՈՅԵՑ ՃԱ  
ՇԱՀՈՅԵՐԴ ՅՆԱԳՐՈՅԵՐԴ ՇԼԵՄԵՑԻՆՈՅՈՒԹ ՏԵՐՈՅՆ ՃԱ  
ԻՎԵՆ ՇՎԵԼՐԵՐ ՑԵՐՆԱ, ՏՄ ԻՐԱԳՈՒ ՇԼԵՍԵՄԱՅՈՅ-  
ՑԻՆ ԻՎԵՆ ԵԿԱՆՇԵՐՈ ԺԱՌՈՎԵԼԵՑԻ ԱՄ ՇԼԵՄՈՅԱ.

უკეთობისა გამო საქართველოს ექსარხოსი ამ  
დღეს აქ მწირველი არ ბრძანდებოდა. მის მაგრე  
ძწირველად ბრძანდებოდა ამ დღეს ყოვლად სამღვდე-  
ლო პლეჭანდრე კრებულთურთ. წირვაზედ მშევნიე-  
რად იგალიბეს ექსარხოსის მგალობლებმა რუსულად.  
ზანცუადენის დროს მშევნიერი სიტყვა წარმოსთვევა  
მართულს ენაზე არქიმანდრიტმა მაკარიმ. მს სიტყვა  
დაბეჭდილი იყო „მწყვმსი“-ს 28 №-ში. წირვის გა-  
თავების შემდეგ პრალისი გარდისადეს, კკლესის გა-  
რეშემოჯერით შემოვლაში ყველა დამსწრე მღვდლებმა

მოიღეს მონაწილეობა. ნაშირვებს ყოვლად სამღვდელო  
ალექსანდრე კრებულით და ზოგიერთი სხვა  
დამსწრე სასულიერო პირებით მიჰატიებულნი იყვნენ  
პატივცემული მამა დეკანოზის ოომანოზ მრევლოვა.  
საგან სადილზე. დიდის სიამოვნებით გააჭარეს ყველა  
სტუმრებმა დრო სადილზე. მიირთვეს საღლევრძელო  
მისს მაღალ ყოვლად უსამღვდელოების საქართველოს  
ლოს ქარხოსის, არქეპისკოპოსის პავლესი, ყოვლად  
სამღვდელო ალექსანდრესი და სხვათა დამსწრე პირ-  
თა. საღამოს სტუმრები გამოეთხოვენ მასპინძელს და  
წაბრძანდენ. თბილისში.

Յօսաւ շնածացք գուղքեղուլո հցըն գցա-շալային  
մցեցուս բաժարո, օմիսատցուս սպորու առ արուս աշնչըն  
ոց գանցընոլցըն. Ոյց գուղքեղուլու սցաւ և մնաե-  
ցըլուս ցուլուն հալապա կրմալուլցըն էթաճացք և  
տնցեղուց մոշացոնցըն հցըն բնինակրցըն մրկուց սար-  
ֆինցըն ամառան մենցըն. Ամ բաժնութամ զամուսմուլո  
մարտցեղուտցուս զամամենցըն ցուլու սուրպա պուշըլ փունըն  
և զանսապւղըլ նու. Պամբա մրացալ չեր Շեմուսցուա  
մրցիո սայարտցեղուս և մուշմումըն և այլուց  
և առերցի ամ Շեսանունցու բաժնուս, թաշրամ պո-  
ւցեղուտցուս առերցըն Շեմլցը ոյց եղլ-աելու ծրինդց-  
ծուլա մարտցեղուտցուան, հումլուս զանք մշենցընստցուս  
արաս ուշացարցն մեյլցըն և ույանասյն ցլեթցըն.

დღეს რა ნახა ჩვენმა თვალში ამ დღეობაზე? სრულებით არასფერი სანუგეშო და სასიმონი. ზოგიერთების აზრით თუ მცხეთაში ხალხი ბევრი შეიკრიბა, თუ ბოლოს ჭიდაობაც გაიმართა, ბევრი ცეკვა-თამაში იქნა, მაშინ იტყვიან, რომ დღესასწაულობამ კარგად ჩაიარაო, კარგად იღლესასწაულებო.. ამ წელიწადში ხალხი ბევრი მოაწყდა მცხეთას, მაგრამ უნდა გამოისტყდეთ და დაუფარავად ესთქვათ, რომ ათასში ოცი არ მისულა იმ მიზნით, რომელი მიზნითაც ხალხი უნდა მიდიოდეს ეკულესიებში სალოცავათ დღესასწაულზე. მხლანდელი სალოცავათ მოსული მართველები მცხეთაში თქვენ ცხადათ წარმოგიდგნენ იმ ძელ მართველებს, რომელიც შრისტეს სწავლის შემოსვლამდის შეიკრიბებოდნენ ხოლმე მცხეთაში, კერპებს შესწირავლენ ცხოველებს და ცეკვა თამაშით აღარულებდენ დღესასწაულობას. მხლანდელი მართველები რით განიჩრებიან იმ ძელ კერპთ თაყვანის-მცემელ მართველებისაგან? მხოლოდ იმით, რომ ესენი არიან ქრისტიანები, მაგრამ მათ ქსევაში ქრისტიანულს ბევრს ეცას დაინახავთ. მართალია, ეკულესიაში შედიან და სანთელს ანთებენ ხატების წინ, მაგრამ ნუ დაიციწყებთ, რომ ძელ დროშიაც კერპებს უნთვებდენ ხოლმე სანთელს ჩვენი წინაპრები...

მთელი დღე ეკულესის ეზოში ყურებს გიყრუებს ზურნის ჭიჭური, დამჯღრეული ორლანოების ხმა, „არიალალო“-ს და „თარიალალოს“ ყვირილი...

სამღედლოება ხატებით და ჯვრით გამოდის ეკულესის ეზოში და ეკულესის გარს უვლის და პარალისს ასრულებს. მთავარ-დიაკონი ხმა მაღლად იწყებს: „უფლისა მიმართ ვილოცოთ, ესთქვათ ყოველთა.“ ღორცაში მცირე ნაწილი ხალხისა იღდებ მონაწილეობას. ეკულესის უშველებელი ეზო სავეს ხალხით, ვითომ მღლოცელებით! ამ ლოცვის დროს რას შერება დანარჩენი ხალხი? ზოგი ქეიფს ეწევა, ზოგი ხორცს ხარშამს ეკულესის კედლების სიახლოვეს დანათებულ ცეცხლზე, ზოგი მწვადებს უფიცებს, ზოგი ყირამალაზე გადადის და ასი-ორასი კაცი მას მიჩრებია და ხარხარებს. აგრე ეკულესის გვერდით ვიღაცას ლატრისს სათამაშო დაუდაბას და ატყუებს და სცარცუას უბრალო ხალხს. ზურნა, ჭიანურები და ორლანოები შედეგნ ერთ წამს, მაგრამ ცოტა ხნის შემდეგ მოპყვენ ისევე თავისებურად და ყურებს გიყრუებენ. მრთი ხორა სამხედრო მუსიკისა მცხეთის რკინის გზის სადგურთან სდგას და ნიადაგზე სხვა-და-

სხვა ხმებშე უქავს და მეზრე პირ თაღასას რკინის გზის სადგურზე...

ამისთან ხმირად იმართება ჩხუბი „მღლოცელებში“, რაყან ნამეტან ნაწილ, მთვრალები არიან. აი როგორ ასრულებენ ჩერენი ეხლანდელ, მართელები სვეტი-ცხოვლობის დღესასწაულობას, კართობას!..

ნუ თუ ასეა რეგი ქრისტიანულად დღესასწაულობის აღსრულებისა? გრა აე არ ულეს ზე; ჩვენი წინაპრები სვეტი-ცხოვლობას? არა; ჩვენ სრულებით აღარ ვკვებათ იმ ქართველებს, რომელთაც ეს ტაძარი აღაშენებს და რომელიც ავ ტაძარში მხურიალე გულით წინეთ ლოცვილობდნენ. მართალია, ქრისტიანები ვართ, რადგან ნათლის-ლეპა მაკერა, მაგრამ გული გაცვლებია და უკანასკნელ ქრისტიანულ წესაც აღარ ვასრულებთ. დაკარილით ერთი ამიდენა მღლოცელებს, თუ მათში სწორეთ პარვე-ჯვარის გამოშახველს დაინახავთ გარდა რუსებასა...“

იტყვიან ხოლმე: მჩაგალი ხალხი მარწყულა მცხოვრის ეკულების სვეტი-ცხოვლობასაც. აქედამ ზოვიერებს გამოჰყავთ ის დასკრა, რომ ჩვენი ხალხი ძლიერ მოაწმუნეა და ზნებაც ვრთოვთ შეუჩეველი იყოს მათში... ტუვალა ვალუუბათ ჩვენ თავს ამისთანა მოსახრებაებით...

პილეთ თაილისში ბ. ლორთქიუანიძის როტონდა. ქვირა და დღესასწაულ დღებში საღამიაბით ჩვენი ხალხი მიაწყება ხოლმე ამ როტონდას. რა განსხვავება არის აქ შეკრებალ ხალხსა და მცხოვრის ხალხს შორის? ის განსხვავება, რომ ამ როტონდაში იმდენ უწევებებას ვერ ნახავ, რამდენსაც ზოგიერთები მცხეთაში ჩადიან. მცხეთობას დიდი შესავალი შედის რკინის გზას. დიდ ფულს იგებენ მეზურნები, მეორალანები, მიკიტნები, მაგრამ ეკულესის სასარგებლოდ მაგდენ კი ვერას შენიშვნავთ. ამისთანა ჩვენი მღლოცელების გულ-ციობის მიხეპით ეს ძელი მშვენიერი ტაძარი არის ამისთანა შეუცერებელ მდგომარებაში. ღღეს ზოგიერთები არა თუ იქით სწირვენ, მჴადარიან კიდევ მოსტაცია რამე, თუ მოახერხეს. საქართველოში ექსარხოსად ყოფილმა, დღეს მოსკოვის მიტროპოლიტმა ითანიერ 1879 წელს, 9 იკტომბერს საზოგადო საექსარხოსა სამღედლოების შეკრებილებაზე სამღედლოებას უბრალა შემდეგი შესანიშნავი სიტყვები: „მე გაკერცვებული ვარ იმ უწესებაებით, რომელსაც მე ვრიშნავ ზოგიერთ დღესასწაულობაზე მღლოცელთა შორის. იქსო-

შრისტემ ბაწრისაფან და კოცებული მათრახებით გამო-  
რევა მერუ აღმის საყდრილამ ხალხი, რომელიც  
უწესოთ იქცეოდა. შელა მღვდელს აქეს უფლება  
წესიერების აღდგინებისათვის უკალესაში და მის  
გალავანში უიცხელი ღონის ძიება იქმაროს და ყოველ  
გვარი უწესოება მოსპოს.“ ძლიერ მიკირს, რომ  
ჩვენ, სამღვდელონი, ამ სთანა უწესოებას ჯეროვან  
ცურადლებას არ ვაჭცეთ და არა ვითარ ზომებს არ  
ეხმარობთ. არ შეძლება, რომ ხალხს კაცმა ქეიფობა  
და ღროს გარდაება მოუშალოს, მაგრამ უკალესის  
გალავანში ამდენ უწესოების მოხდენის ნების მიცემა  
და სამღვდელოების ხმით ხმის ამოუკებლობა, სწო-  
რეთ უნდა ერთ-გა, ჩვენი დიდი შეცოორია, ჩვენი  
დასუსტება არის და ჩვენებ ვართ პასუხის მგებელნი  
ღითს წინაშე. სხვა არა იყოს რა, სირცეილია ჩვენი,  
რომ ამისთანა უწესობაებით სხვა თემის ხალხს ვაკ-  
ვირებთ და ცუდ არის ებადავთ მათში...

ჩვენ მარტო მცხოვრიშე არ ვამბობთ და მარ  
ცო სევეტიცხოვლობა არა გვაქეს სახეში, დაკვირდით  
ხალხის ყოფა-კულებას უველა იმ შესანიშნავ ეკალე-  
სიებში და მონასტრებში, სადაც იციან ხოლმე რო-  
მელომე დღესასწაულობაზე შეკრება და დაწმუნდე-  
ბით, რომ უველენ შენიშნავთ რაღაცა კერპთაყვანის  
მცემლების ჩეულებითა აღსრულებას და უგუნურ  
დღესასწაულობას. და უველა ეს, სამწერაოდ, მარტო  
ჩვენშია! ამის მცენებს ვერ ნახავთ თქვენ სხვა აღსარე-  
ბის ხალხში და ქრისტიანთა სხვა თემში მოელი რუ-  
სეთი რომ მთლიად მოიაროთ. რუსეთში უკანასკნელი  
გაჭირებული არ დადგება ისე, რომ ერთი აბაზი  
ზაინც არ შესწიროს უკალესის გასამშენებლად.  
აბა, შეიტყოთ რა შესწირეს მცხეთის უკალესის  
ამდენმა მღვდელებმა? შესწირეს კა არა, ნეტავი  
პირიქით... გვრცვენია თქმისა...

დრო არის ამ სამწერაო მოვლენას უგუნდღება  
მიცავით და შესაფერი ღონის-ძიება ვახმაროთ  
მღვდელებში წესიერების დაცვისათვის. შელა,  
მართლა, საქეიფოთ არ მიღის დღესასწაულობაზე.  
მათში არიან რეთებიც, რომელთაც გულით და სუ-  
ლით უნდათ შეევერონ ღმერთსა და ილოცან.  
იგინი თითონვე სწუხრან, როდესაც ხელვენ ათას ნაირ  
უწესოებას უკალესის გალავანში, მისულ ხალხთავან  
ჩადენილს, მაგრამ რას იმონან? ნუ მოველით წესიე-  
რების აღდგინებას პოლიციისაგან უკალესიებში. ჩვენს  
სიტყვას მეტი გავლენა უნდა ჰქონდეს ხალხზე. ჩვენ  
შეგვიძლია, რომ უკალესის გალავანებიდამ გამოვრე-

კოთ მეზურნები, მეორღანოები და მიკიტნები მათი  
კომპანიებით და ვისაც ლოცვა უნდა და ღვთის ვედ-  
რება, ისინი შევიდნენ მარტო უკალესის ეზოში.  
იქნება რფიქტოს ენომებ, რომ ამით მღვდელების  
რიცვი შემცირდებათ. სჯობს მცირე იუვნენ და რჩეული  
წინააღმდეგ შემთხვევაში ჩვენ. ეიქებით პასუხის  
მგებელნი ღითს წინაშე ჩვენი სამწყოს მაგიერ.  
სრული იმდინა, რომ სასულიერო მართებლობაც  
მიაქცევს ამ სამწერაო მოვლენას უგუნდღებას და  
მოახდენს ჯეროვან განკარგულებას მოსპობისათვის  
სხენებულთა უწესოებათა უკალესიების ეზოში დღე  
საწაულობაების დროს:

მლკ. დ. დამბაშიძე.

### თ ბ ი ლ ი ს ი დ გ ა ნ.

ღღს ჩვენი მართველების ზოგიერთ ოჯახებში კიდევ  
მოიპოვებიან ძევლი წიგნები და ხელთ ნაწერები. მაკ-  
აბ ბევრმა არ იცის ამ წიგნების მოხმარება და უმ-  
ნიშენელოდ უგრიათ სახლებში და არ ელევიან რო-  
გორც თავიანთ მამა პაპათაგან დატოვებულ განს.  
ზოგიერთები კი ამ წიგნებს უგუნურად ექცევიან. არც  
თავათ იციან, თუ რა გამოსადევია ეს წიგნები და  
არც სხვას უმხელენ, თუ მათ ოჯახში რაიმე ძევლი  
წიგნები და ხელთ-ნაწერები მოეპოვებათ. ვერ ახერ-  
ხებენ, რომ ეს წიგნები ვინმე მცოდნეს აჩვენონ და  
შეიტყონ: გამოსადევია ეს წიგნები, თუ არა. დიდ ხას  
საიდუმლოდ ინახები ამ წიგნებს და ბოლოს, როცა მო-  
სწყინდებათ მათი შენახვა, იღებენ და რომელიმე მეხილე-  
ზე ანუ მეთეზეზე ჰყიდიან მცირე ფასად. იმას კი არ  
ფიქრობენ, რომ იმ წიგნებში და ქალალდებში, რო-  
მელთაც ისინი აგრე უგუნურად ექცევიან, შეიძლება  
ისეთი რამე წიგნი ანუ ქალალდი იყოს, რომელთაც  
დიდი მიშენდლობა ექნეთ ჩვენი ისტორიისა და  
არქოლოგიისათვის.

ბევრჯელ იყო ჩვენს ადგილობით ფურნალ-გაზეთე-  
ში გამოცხადებული, რომ რომელთაც რაიმე ძევლი  
წიგნები და ხელთ-ნაწერები აქვთ, გამოაცხადონ, ან გაა-  
შინჯონ მცოდნე პირთ, რომ ამით შეიტყოს კაცმა, ვის  
რა წიგნები და ხელთ-ნაწერები მოეპოვება. თუ ვისმეს  
რაიმე კა წიგნი, ან ხელთ-ნაწერი, აღმოუჩნდებოდა,

შეპატრონები ამ წიგნებს ძალათ არავინ წარადმივდედა: ან უულს მისცემდენ და ან დროებით გამოართმევდენ, რომ ესარეგბლათ ამ წიგნებით და ბოლოს უკნევ დაუბრუნებდენ; მაგრამ კურნალ-გაზეთების თხოვნა მრავალთაგან არ იქნა შეწყნარებული. მეპატრონენი ისევ თავისებურად ეპყრობიან თავიანთ წიგნ-თ-საცვებს.

დღეს ჩვენი თბილისის ბაზარი საესეა სხვა-და-სხვა ძეველი წიგნებით და ხელო-ნაწერებით. ამ ათი წლის წინად თბილისის ბაზარის ვაჭრებმა იყიდეს ზოგიერთი მართველებისაგან ძეველი წიგნები და ხელ-ნაწერები და სულ პარკებათ გაკეთეს.

1875 წ. თბილისში გაიყიდა გამოჩენილის და-ვით რექტორისაგან დატოვებული წიგნ-თ-საცავი. მს წიგნთ საცავი ანხხატის ეკვლესის მახლობლად ერთ მესხანთ სახლის სარდაფში ყოფილა მოთავსებული. ბოლოს პატრონთ მოსწეულიათ ამ წიგნების შენახვა, გამოუტანით გარედ და ვაჭრებისათვის მიუყიდნით ფუთობით. ცველა ეს წიგნები ვაჭრებს დაეხიათ და მოეხმარათ. ამ წიგნებიდან გადარჩა ერთი მხოლოდ პატრონ ქათალიკოზის გრამატიკა, რომელიც დაიბეჭდა ამ ბოლოს დროს პატივ-ცემულის ალექსანდრე ეპისკოპოსის საფასით.

ამ მოვაჭრებს ბევრი შესანიშნავი წიგნები დაეხიათ და სამუდამოთ გაექროთ. სხვათა შორის დახსიათ ვრცელი ისტორია საქართველოს ეკვლესისა; ეს ხელო-ნაწერი დაუბეჭდავი ყოფილა და შემადგენელად ვიღაც მღვდელი დავით ბაქრაძეა დასახელებული.

ამ საყურადღებო წიგნ-თ-საცავის შემდევ ასეთივე უბედური სვე ხვდა ზორბეგი ჩიქოვანისაგან დატოვებულ ძეველ წიგნებს. რა წიგნები არ ყოფილა ამ წიგნთ საცავში, მაგრამ სულ დაუხევათ. მხოლოდ შემდევი სამი წიგნი გაღურჩენიათ: 1) „პროპაგანდა დე ვიდე,“ რომელიც დაბეჭდილი ყოფილა რომში პატრი ტულუკანთ დავითისაგან. მს წიგნი კარგა ვრცელია, დაბეჭდილია 1741 წელში. წიგნს თავში აქვთ წინა-სიტყვაობა ლათინურად; 2) „კავშირი პროკლე ლიოდორისა“, რომელიც თარგმნილია იო-ანნე სარდალ ლობელიანისაგან და 3) „საქართველოს ისტორია“ იოვანე ბატონიშვილისა. ამავე ბაზარში ამას წინეთ ბ. სტ. ბამერეკელმა იყიდა ერთი წიგნი სახელად: „ბუნების მეცნიერება“ იოვანე ბატონიშვილისა; წიგნი ვრცელია და შესანიშნავი ტერ-მინოლოგის ბრიოთ. მრთი სიტყვით კაცი

ცერ მოთველას; თუ რამდენი ამათე უკეთესი წიგნები დაეკარგა სამუდამოდ ჩვენს მწერლობას და ისტორიას.

აი ამ ბოლო დროსაც თბილისის ბაზარის ვაჭრებს ეკიდნათ 26 ფუთი ძეველი წიგნები და ხელო-ნაწერები. ამ წიგნებში გადარჩენილა ერთი მართველი ხელო-ნაწერი, რომელიც კატებიზმის მხგავსად კითხვა მიგებით არის დაწერილი. იწყება ძეველი ალთემით, მას მისდევს ახალი აღოქმა. შემდეგ წიგნ-ში ჩართულია მოთხრობა საქართველოს გაქრისტიანებაზე, წმიდა ნინოს საქართველოში შემოსვლა, საქართველოს მქადაგებლობაგან საქართველოში ქრისტიანობის გავრცელება; შემდევ აღწერილია ლიუტერისა და მალვინის სწავლის შესახებ ცნობანი; აქვთ აღწერილი საქართველოს პოლიტიკურად დაცემა, სპარს-პრაპთა და ლსმალთა საქართველოზე გავლენა, მრავალ მართველ მეფეთაგან მაჰმადის აღსარების მიღება და საქართველოში მაჰმადის აღსარების გავრცელება.

მს ხელო-ნაწერი შეიცავს 500 გვერდზე მეტს, დაწერილია თაბახინ ქალალდზე. დაწერალა მეორა-მეორ საუკუნის დამლევს და მეცხრამეტის დამდევს ვიღაც ბერი იოვანე ხელაშეკრისაგან. მს ბერა უნდა იყოს ის, რომელსაც დადას პატრიით იხსენიებს იოვანე ბატონიშვილი თავის თხზულებაში სახელ. „კალ-მასობა“-ში. ხელო-ნაწერს მიუძლეს ვრცელი წინა-სიტყვაობა. აქ იოვანე ხელაშეკრი მოგვითხოვს, რომ მე მეფეზი მჩეულე და ზორბეგი მზრდადებო. ვსწავლიბდი პირველად თაილისას მეტებს სააწა-ლებელში, შემდევ მაპიუში წმიდა ნანუა სააწა-ლებელში და თელავშიო. რაცა თელავში სწავლა შე-გასრულებული მერე ალექსანდრე ლავრის აკადემიაში შევეღი და იქ რუსეთის მაცერატორის ხარჯით ესწავ-ლობდიო. ამ ცოლათა გარდა ამ წიგნში ბერი სხვა საინტერესო ცნობებია. ამ წიგნს გარდა იმ ძეველ წიგნებში და ხელო-ნაწერებში ბერი სხვა შესანიშნავი წიგნები და ხელო-ნაწერები ყოფილა, მაგრამ ზე-მოთ მოხსენებული ხელ-ნაწერის მეტი ჩვენ ვერ ვნახეთ.

თბილისის იარმუქაზე ამ ცატა ხანშა ჩვენ მოვა-კოვეთ სხვა-და-სხვა ენებზე დაწერილი წიგნები, რომ-ლებშიაც საქართველოზე ბერი ცნობებია. აი, სხვა-თა შორის, ზოგიერთი წიგნები: 1) „აზიური მუშე-უმი,“ რომელიც გამოცემულია 1848 წ. პეტერ-ბურგის აკადემიისაგან. ამ წიგნში, სხვათა შორის,

დაბეჭდილია კატალოგი ძეველი მართული წიგნებისა. ამ კატალოგზე ბეჭდი საინტერესო წიგნებია ჩა-  
მოთვლილი, რომლებიც დღეს ჩვენში არ მოიპოვე-  
ბიან. მატალოგში მართული წიგნების სახელები  
მართული ასოდეთ არიან დაბეჭდილი და განმარტება  
კი ფრანსიულს ენაზეა. წიგნის დამწერი არის გან-  
სუენებული მარი მერის ძე ბროსე; 2) „მავკაზი“,  
ომელიც დაბეჭდილია ნებეცურ ენაზე. სუფორი  
არის ვილაც ალექსანდრე პერიოლა. წიგნი დაბეჭ-  
დილია 1866 წ. ბერლინში. წიგნში დახატულია ქ.  
ობელისი და აგრეთვე ბეჭდი საინტერესო ცნობებია  
ამ წიგნში საქართველოს და მის მკვიდრთა ცხოვრე-  
ბის შესახებ.

თბილები.

### ისტორიული მასალა.

ჩვენ წარულ წელში ეპენენთ მყითხველებს  
უირეულების და მგიპტოლების ტალი ჩვენის ქვეყნის  
გეოგრაფიულ სახელ-წოდებაში ალავ-ალავ, ჩვენს  
ნაში, ზენობაში და სხვა, რაც კი უეკვეძლო; მაგრამ  
მათ ფულზედ არა მითქვის რა; ახლა შეეხდი რა-  
დენიმე ადგრლს მგვარურ უერცხლსა და ცხადად  
დაეინახე, რომ მათ ჩვენს ქვეყანაში დიდ-ძალი სიმ-  
დიდრე უნდა ჩაეყაროს, რომ დღევანდლამდის მათი  
ფული გერებან ჩნდება ძეველ ნანგრევებში, ნაოხა-  
საფლარებში, ძეველ მოსახლეებში და ოქრომჭედ-  
ლებში; ამ ფულს ერთ პირზედ ძროხა (დეკული)  
ეს გამოქანდაკებული და მეორე გვერდზედ  
ოურალე დედა-კაცის სახე; წარწერა კი არა აქვს რა  
უსულიად. თვითონ ფული რგვლად მოჭრილია თხი-  
სის ოდნად და მეტად ტლანქი (სქელი), დედა-კაცის  
ეს ნიშნავს თოთ, სიბრძნის ღმერთს, რომელიც  
ძერძნების ჰერმესს თუ რეასს; რეასაგან სძევს  
ელი ჩვენს მდინარეს რიონი, თოთისაგან ეწოდა  
ზელი ჩვენს საიმერეთოს ძოლხედის ქალაქს თოთი  
თოთი). ღიაკული თუ ძუროც იყო მგვიპტელების  
საყვანო კერპი, რომელიც ნიშნავდა მიწის მხნევ-  
ლების წარმატებულებასა ანუ წარმატებასა, რომელ-  
უწოდებულენ კუროს (მოზეგრის), აპის და დიაკეულს  
ს. მართლად ახალ-ციხის მახლობლად სამხრიდ

მდებარე სოფელი აბი მოგვაგონებს მაგიპტელების  
პისისა! აქედან ცხადა სჩანს, რომ მოლხიდელების  
სამფლობელო ნიშანი ყოფილა თოთ, დედა-კაცის  
სახე და მესხებისა კური: ერთი ვაჭრობა-ხელოსნო-  
ბაში დახელოვნებული და მეორენი მიწის შემუშა-  
ვება-მხედრობაში გასწავლილი ყოფილან.

ამ გვარ ფულს ძეველათ ჩვენი წინაპარი რა  
სახელს უწოდებდნ ჩვენ ნამდვილად არ ვიცით?  
ზოგნი ჰერონებენ ამ ფულის სახელს ხვასტავს, რო-  
გორც გვაჩვენებს მართლის ცხოვრება: „მაშინ ვა-  
რანავაზ წარგვაგნა მონა თვისი მუჯისთან და ჰერქა:  
მე ვარ ნათესავი უფლისა მცხოვოსის ძის  
და მმისწული სამარა მამასახლისისა და არის ჩიმითან ა  
ხვასტავი დიდ-ძალი; აწ ინება რათა მით ხვასტავითა  
მოვიდე შენთანა და ვიყვით ჩვენ ძმა და ვიმართ  
ჩვენ ხვასტავი იგი; ორთავე გამოუწინდეთ ჩვენ მტრად  
იაზონ მრისთავსა.“ (ვერდი 30). ლექსი ხვასტავი  
ნიშნავს მონავებსა, ქანებასა და შრომასა. ასე ხმა-  
რობენ პოებიც, როგორც ჩვენ. ახლა ენახოთ სით-  
გან წარმომდგარა ხვასტავი ლექსი? მე მგონია ვაშ-  
ტიდგან არის წარმომდგარი. ვაშეტი ლექსიც ნიშნავს  
ერთ წიობასა ერთ დროშის ქვეშ-მყოფ ლაშკართა,  
რომელიც ძეველი-ძეველი ლექსი არის და შეიძლება  
კიდევაც მგვიპტელებისაგან იყოს დაშთენილი ჩვენს  
ენაში და პოებაც მიულიათ უთუდ ჩვენგან, სხვა  
მრავალ ლექსთა შორის და ნიშნავს ხვასტავი ვაშტა  
გაკვეთილს ფულსა, რომელთაც თვიდგან თოვეზედ  
აძლევდნენ, თუ ასე არის, შეიძლება უწოდოთ ხვას-  
ტავი, თუ არა და თავის ნამდვილი წილება უნდა  
უპოვნოს დროთა მეტნირებაშ მის დროს.

მგვიპტელები ისახის რაცხდენ იმ გვარ დევ-  
გმირად, როგორც იყო ბერძნებისა პპოლონი. ამ  
ისახის დაუკელია მრთელი აღმოსავლეთ-დასაელეთი  
და შეუტანია ყველგან სამოქალაქო კარგი წყაბი-  
ლებანი. ხელობა და მიწის შემუშავება, მეტადრე  
მგვიპტები; ძმა ყოფილა ისისა და მასთანავე ქმარიცა.  
მისგამო დიდად სწამდნენ ეს ისირი და ისის მგვიპ-  
ტელებსა; შეტრ დიდ აელა-დიდებით ინახდნენ აპისა,  
უნიშნო თერთს თუ შავს ძროხასა; მემუისის დედა-  
ქალაქში ჰყავდათ ერთს ჩინებულ ცხე-სასახლეში,  
კვებეცელნენ შეწირული წ. თივა, ბალა-კუავილებითა  
და მწარ წყალს ასმევდნენ ხოლმე. მხოლოდ დიდ  
დღესასწაულებში უჩენებდნენ ერსა და წლისა  
თავზედ წითელს დიაკეულს დაუკლავდნენ ნიშნად  
ტიფონისა (გრიგალ-ბარბარის), და როცა მოუკვდე-

ბოლათ, დიდ მგლოვარებაში ჩაჯდებოდენ დიდით-  
პატარამდის და რა მოიპოვებდნენ მისთანა უნიშნო  
ლიკურულსა, დილის დიდებით მოიყვანდნენ იმ სასახლეში  
და დაადგენდნენ ახალ მფლობელ პისაღ, რომელს  
მაცხოველებელ სულის ჩამდგმელათ ამბობდნენ მსი-  
როსს და მისისა!

მარტო ფული სჩანს ვეცხლისა ამ შევიძლების  
ხმარებული, თორემ მთელი საომარი საჭურველი  
(იარალი) სრულ სპილენძისა ყოფილა, როგორც უჩ-  
მის სალტები, ეტლების მოკედლობა და ყოველ-  
გვარი ხელსამწყონი! მე მინახია ხარახების საბერელე-  
ბი ბოხები, მხედრების სატვრები, დანები, საცერუ-  
ლები და შუბულები; სრულ სპილენძისა მუყით-  
ლო ფერის და ფალადისაგანაც, მიმიტ! სატეციებს  
შოგნულობენ ნასაფლავებში, მაგრამ მრთელი წვე-  
რებ მომტკრეულები არიან, ნიშნად მათი პატრიონე-  
ბის სიკედილთ დამარტებისა! ამ გვარი წვეულება  
წვენ შიც შემომხდარა, მისთვის კაცი-კაცს, რომ გაუწ-  
ყრება წასახებს წყრომით: ხანჯალიმც, ხმალიმც თუ  
თოფიმც გარდაგრეხოდეს ხელშიო!

საცერული ბეჭდები სამათ გამრგვალებულნი არი-  
ან გველივით და წვერებ დაუკავშირებული, ზოგიერთ-  
ში ორი და სამი თითოც შედის! ასრევე დიდ-კრიანი  
ქინძისთავები სცოლნიათ აყივებისა, ზურმუხტისა,  
ბროლისა, სეილანისა და სხვაც. ზოგი მოპტყელოა,  
ზოგი მრგვალი, ზოგი სამ-კუთხი და ზოგიცა ჯვარე-  
დინი. ერთი ქინძისთავი ვნახე მრგვალი მნდოეთის  
თელისა (ობალისა), მოზღიული ნიგვზის ოდენი, სიმ-  
ძიმით თორმეტი მისხალი: ნაცეკრად ერთ მხრითგან  
გახერეტილი და მეორე მხრითგანაც ნაცეკრად; ბუნე-  
ბითად ზედ შეჲ; ღრუბლები, ჰლვის მღელვარება გა-  
მოყვანილი არის ეგრედ, თითქოსო განგებ კარგ ხე-  
ლოვან მხატვარს დაწესატია! ასრევე მსხვილი ძივები  
გულისა, მკლავისა და ყელსაბამებიცა ჩნდებიან; აყიუ-  
ბი, ეშმები, სულეიმანები, გიშერები, პორფირი და სხვა!..

ჩენი მეფების ფულები კი იშვიათად იშოვება; დაეთ მეფების გროშები სხვა ნაირი დ—ონებით ირჩევა, მათში ერთი შესანიშნია: დ. უვაკილოვნათ გამოყვანილია, თავზედ ქვეყნის გუნდი და ზედ ჯვარი არის, აქეთ-იქით მართული ხლმები ჰყიდია და ხმალთან კაცის ხელი სხანს. მეორე მხარეს ჭ. და ლ. არის (მართული) და მასთან ოთხ-კუთხი რაცალა ფა-გურივანი ბეჭედი არის დასმული! ძიღვე ვნახეთ ერ-თი ოთხ-კუთხი ვიწრო და მოგრძო ერთი გოჯის ოდენი გროში, ზედ მართული ხმალია გამოყვანილი

და მეორე მხარეს პარსული მშენლად იყიდება. ხმალი დავთის გულზე კოფილ ხმალსა ჰგავს, ეს ხსენებული გროვი დავთ აღმაშენებელს უნდა ნიშანდეს. და ის მოვრძო კი კერპ მსახურების დროს ძართულ ფულსა! არის ერთ ნაირი ვეკალი შაუ-რიანის ოდენი, ერთ მხარეზე მეცე აწერია და მეორე მხარეს ოთხ-ფეხი პირუტყვია! თამარისა და რუსულა-ისა ცხადად იჩენა, ლაშა ზიორებისაზედ კი ასე აწერია: «ვი. მეფის თამარის ძასა საჯავახეობისა.»

ბეჭედის თვლებზედ აყიყსა და ამეთვისტოზედ  
თუ ქრისტულზედაცა არიან მოთხრილი სახეები უშორ  
ბაგრატიუნის სომხების მეფისა მოყვითლო აყეზედ  
არის, ეს მთავრობლა 858—898. ამდის და ბოლოს  
ხომ გამეფდა, თავის ჩაქანი ხურამს და გვერდით  
ლახვარი აქვს. ზო. მეფის დევოფლის მარიამის სახე  
ამოთხრილია ამეთვისტზედა მრთელი ტანით მკლავებ  
გაშლილი ზეცას იუურება, მარჯვნივ ეკვლესია არის  
სამკუთხად წოწოლა და ზედ ბერძული მანია ამოთრა-  
ლი, ტანსაც მოლოზნულად აცვია და თავიც ეკრედ  
მოკრული აქვს, ეს სამკუთხი თუ კურუტლის ეკვლე-  
სია ესთქვათ, ზედ გამოწერილი მანიც მარიამ დედო-  
ფალს უნდა გვაჩვენებდეს და თუ მთაწმინდა, მაშინ  
ის მანი პორტაც ღვითის-მშაბელ მარიამად უნდა  
ესთქვათ, რომ დედოფლობისგან ახლად შემონაპო-  
ნებული მარიამ დედოფალი ეველრება ჩვენ ქვეყნაში  
მრისტიანობის გაძლიერებისათვის პორტაცის ღვითი-  
შმობელს მარიამსა. მს მარიამ დედოფალი ასული  
იყო მასკურაკანის სენაქერიმ სომეხთ მეფისა, რომ-  
ლის წინაპარნი მომდინარეობდნენ ასურეთის სენა-  
ქერიმ მეფისაგან, რომელთ შთამომავალნი არიან  
დღეს 3. აწრონები. შროთს აყიყის ჩვა კუთხედა  
თვალზედაც ასე აწერია ძევლებური მხედრული ასოე-  
ბით: «მხევალი ყოვლად წმინდისა, ასული ბურულის  
ზაზა ბატონიშვილისა თამარ». სიტყვებს ბურულ  
სწერია ასო ს. მს თუ ქორანიკონია, მაშინ გამოვა  
1512. როცა მზე ჭაბუკ პთაბევი ჩაქევა ღსამალთ  
სარასკარს და თათართ შუთაისი დასწევს. ამ გვარი  
აძლოთხრილი თვლებიც შედგენენ ისტორიულ წყა-  
როებსა ფულებთან ერთად. გარდა ამისა ძევლებიც  
მეტათ გამოსადევნი არიან. ფოცხოვერდვან საფელ  
ფაფალოდგან მოეტანათ წყალ-თბილას ერთი ეკვლე-  
სის ქვათაგანი; ზედ პთაბაგი და მისი დედოფალია  
გამოკვეთილი, ისინი თავიანთ სასახლეში დგანან  
ფეხზედ; კედლებზედ ფარდები აკეცილ არიან სხვა-და-  
სხვა რიგად. შველა ესეები ისე ნათლად სჩანან, თათ-

ქოს დღეს გამოკვეთიათო! მას წინეთ ახალ-ციხის რიცხვი შეა აღმოჩენდა დაიტერული მარმარილოსაგან გაკეთებული ძეგლის თავი, რომელზედაც გამოხატულია სახე დედა-კაცისა, მას თავზედ ხურავს ლაპატი და კავები ლაპატი შეკეცილი აქვს; ცხვირი რომ მოტეხილი არა ჰქონდეს, საგანგებო საძველის წარმომადგენ ელი იქნება. როგორც სჩანს პთაბეგვის სეფეთაგანი უნდა იყოს. როცა 1587 წ. მსმალთ აუშენებიათ ახალ-ციხის გარე ბედნები, იმ დროს უპოვნიათ ეს ძეგლიც, რომელიც ხატი ჰერნებიათ ამიტომ დაუწვავთ, დაუმტკრევიათ და კირში სხვა კრწებნართან ერთად ჩაუტანებიათ. ამ რამდენიმე წლის წინათ დინამიტით რომ ააფეთქა ამ ციხის გარემო კოშკ-ბედნები ვიღაცა პოდოლკოვნიქმა, იმის ნაფეთქებში აღმოჩნდა ეს ნაშთი.

კინე მესან.

## თ ქ ი თ ს გ უ ღ ა .

(მოთხოვთ რესულიდგან).

(გაგრძელება \*).

შევასრულე ნათლის-ღებაც, გაეიძრე შესამოსი და მედავითნეს მივეცი. მონათლულის მამამ დაჯდომაც აღარ მაცალა, ფეხ-ქეშ დამივარდა და დამიწყო თხოვნა. რა ამბავია, გამიყირდა!

— რა გინდა შეიღო, ადექ და უთაყვანისცემოთ მითხარი.

— მაპატივეთ, სულიერო მამავ, რომ ოჯახში ერთი გროშიც არ მომებოვება...

— ძარგი, შეიღო, კარგი, მერე ე მაგისოფის რა საჭირო იყო თაყვანის ცემა!

— ეს როგორ შეიძლება, მამაო, გააწყვეტია მღვდელს იქვე მღვოჩინა მოხუცებულმა დიაკონმა ივანემ, თუ სოფელში შენ, მამაო, აგრე აძლიე და აპატივე ცველას, კარგი იქნება.

\* ) იხ. «მწყემსი» № 14-15.

— მაშ რა უყოთ, როდესაც ოჯახში ერთი გროშიც არ მოიპოვება, შენთვის ხომ არ წავა და არ მოიპარავს, უთხარი დიაკონს და თან ვაჩვენე ხელით იმ გლეხზედ.

— ჩვენ რაღა უნდა ვწნათ, როდესაც მეც რეა შეიღოს პატრიონი კაცი ვარ? რით უნდა ვარჩინო, ვასაზრდოვთ იგინი?

— აქ მე სრულიად დაეიკარებე, არ ვიცოდი, რა პასუხი მიმეცა. შემდეგ მოვცეიდე ხელი და უთხარი: ივანე, შეიღო, ნუ ჯავრდები, შენ რამდენიც გერგებოდა იმ გლეხზიდვან, მე ჩემი ჯიბიდგან მომიცია.

— ლოცვისათვის ორი შაური მერგება და ნათლისაც კიდევ ათი შაური, სულ სამი აპაზი მერგება.

— ქეთილი.

დავისურე ქული და უცემ გამოველი გლეხის ქოხიდვან. მსურდა აქ ნახულ სურათების შთაბეჭდილება თავიდგან გამეფანტა, მაგრამ, როდესაც ეზოში გამოვედი, რაღაც ხმაურობა მომესმა.

— ივანე, ძმაო, თქვენი ლვთას-გულისათვის, შევ-ვიწყალე, უკანასკნელი პური გვაქვს და ისიც პრევენტივული გამოვართვი. მნდვე ლმერთს, რომ ძუძუს მაგიერი საჭმელი პურიც არ აქვს ყმაწვილს.

მე არ ვიცოდი, რაში იყო საქმე; მხოლოდ ვხედავდი, რომ მომქმედი პირი ჩემი დიაკონი იყო, რომელიც მაშინვე მომეწია ილლიში პურით. მხლა კი გვიგე, რაში იყო საქმე. ზღებს არ უნდოდა, რომ დიაკონისათვის პური გამოეტანებია, რაღგანაც ყმაწვილის საჭმელათ მეტი არაფერი გააჩნდა. დიაკონს კი არამც თუ ჩვეულებისამებრ უნდოდა პურის წამოლება, არამედ ის უფრო აწუხებდა, რომ არც თვითონ ჰქონდა ოჯახში პური და ცოლ-შეიღო შიმშილით ეხოცებოდა...

— იხ, შეიღო, შევასრულე პირველათ ჩემ ცხოვრებაში ამგვარი ნათლის, ღება დავბრუნდი შინ, იმ აზრით, რომ უმჯობესი იყო არ დავბადებულიყავ ამ წუთის სოფლად, ვიღრე ამ გვარ ცხოვრებას გავცნობოდე და ცველა მისი ნაკლულევანება ჩემის თვალით მენახა.

## III.

როდესაც კარგა დაუკვირდა ჩემი მრევლის ცხოვრებას, რომელიც სამი პატარა სოფლისაგან შესდგებოდა ორას თახი სულით, შევაჩინიე, რომ დიდი სიღარიბე სუფევდა მათში. დიაკონმა მიამზა, რომ

წინეთ გლეხები უფრო მდიდრულათ სცხოვრებლნენ, მაგრამ სამი წლის უმოუსავლობამ და მასთან ახალი მებატონის სასტიკმა მოთხოვნილებამ გლეხები მთლათ გაანადგურათ.

— წინეთ ღრო იყო, როდესაც აღდვომების დღესასწაულზე შევიღოდათ გლეხთან და უველგან დიდი პატივისცემა და დიდი პატივობა გვერნდა — ახლა კი საღლაა ესეები, მომიუკა ჩემი დიაკონი, რომ მელიც ჩენის კრებულში ირიცხებოდა.

სამი დღის შემდეგ ჩემი სოფელში მოსელისა, მოეიდა ჩემთან დიაკონი იცანე, გამომართვა ეკკლესიის გასაღები და წავიდა ეკკლესიის დასაწმენდათ და გასათბობათ, რომელიც კვირეში ერთ ჯერ თბებიდა მხოლოდ, თან თავის ფხანით თითქო გაყრით მითხრა:

— თქვენ კი უნდა მიბრძნებულიყავით, მამაო, ბატონთან, თორემ მე, როგორც გავივე, ძლიერ გიჯავრდებათ, რომ აქმდის არ გამოეცხადეთ.

— მს მეც ვიცი, რომ უნდა გამოვცხადო ბატონს, მაგრამ ჰედავ, რომ არავარ ჯერ მოწყობილი, ერ ჰედავ, სახლიც არ მაქს თბილი, როგორც რიგია.

იცანემ არაფერი არ მითხრა, ისე წავიდა ეკკლესიის გასათბობათ.

ზათენდა პირველი კვირის დილი. მე ამ დღეს პირველად უნდა დამეტყო ჩემი მსახურება — მდეთო. სადმი. დილის ხუთ საათზედ მოეიდა ჩემთან დიაკონი და მთხოვა ნება დარეკისა. მეც უბრძნე დარეკა. მესმის, რომ დიაკონი რეკავს პატარა ზარებით. მივედი ეკლესიაში და დიაკონსაც შენიშვნა მივეცი, და უთხარი რიგია: დღეს დიდი ზარებით უნდა დარეკა.

— არ მაქს ნაბრძნები, წყნარათ სთქვა იცანემ.

- მის არ უბრძნებია?
- ბატონს.
- მს განა მისი საქმეა?

— არ ვიცი, სხვა ნაირად სთქვა დიაკონმა და თან დაუმატა, რომ უშინდელი მებატონის ბრძანებით დიდი ზარებით შხოლოდ კვირაობით ვრცელოთ და ქხლანდელმა კი გვიბრძნა, რომ ცისკარზე პატარა ზარებით დარეკითო.

— შენი ბატონი, ვეონებ, ეკკლესიის უსტავზედ ეტი არ არის; ჩენ გვაქს ჩენი წესები და მებატო-

ნის მაგ გვარ მოთხოვნილებას არ უემორჩილებით.

— როგორც გნებავდეს, ცბიერათ სთქვა იცანემ.

ამ დროს ხალხი კიდეც შეკრებილიყო ეკკლესიაში და ჩენი მუსათვი წირვის გამოსელამდის უველა აცნობეს მებატონებაც, ცისკარი გავათავე მშეიცობით; თუმც სიბნელე, სინოტიავე და სხვა ნაკლულევა. ნება მიწუხებდა სულს. საყდრიდან გამოსელის დროს შემომესიენ გლეხები და მთხოვდნენ ლოცუა-კურთხევას და თან მილოცავდნენ შვიდობით მოსელას და მრავალ წელს მათში მღვდლად სამსახურს. მხედავთ, ხალხი კარგი მიმღები, ალექსიანი და პატიოსანია, მაგრამ გაუბედავი და ლარიბია. ცისკრის და წირვის შუა, რაც რეგი იყო, მე კიდევაც წავიკითხე; ამ დროს დიაკონმა ჩემდა უკითხეველად დაუწყო რეკა დიდ ზარებს, რომელმაც ძლიერ გამაკვირვა; მაგრამ აღმოჩენა, რომ დიდი სნიდვან ყოფილა დადგენილი ეს ჩევულება: ყოველთვის კვირა-უქმ დღეს დარეკონ დიდი ზარები ცხრა საათის ნახევარზედ, როდესაც მებატონის ეჭოშიდაც დარეკენ.

წირვაზედ იმდენი ხალხი შეიკრიბა, რომ მოელი ეკკლესია გაიქო. მე ჩავიცი სადღესასწაულო შესამოსელი და დავიწყე ლიტურგიის პირველი ნაწილი. დიაკონმა წავიკითხა, რაც წასაკითხი იყო, პირველი ნაწილი, ესე იყო კვეთა გავათავე, მაგრამ დიაკონი, მაინც არ მიჩიევდა წირვის დაწყებას მებატონეების მოსელამდის. საყკლესიო საათი აჩვენებდა პის ნახევარს, ხალხი აურებელი იდგა ეკკლესიაში, სადაც რაღაც წარმოუდგენელი სიმშეიდე სუფევდა. ჩემს თავს ძლიერ ცუდათ ვგრძობდი; ახალ გაზღური და შეიძლება პატიოსახური და გამოუცდელი კი მეუბნებოდა: ნუ დაემორჩილები მებატონის ჭინს, განაგრძე წირვა; და აი უცებ გაწუდეტით ვიწყებ: „კურთხეულ არს მეუფება მამისა და ძისა და სულისა წმინდისა, აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე“ დიაკონი მთლად გადირია და „ამინის“ თქმის მაგიერ შემოვარდა ჩემთან საკურთხეველში და შემომძახა: „რას შეებით, რას? ჯერ მებატონეები კიდევ არ მოსელან“.

— იცალობე, შევუკირე დიაკონს, და მან დაიწყო: „ამინ“.

ვამბობ ასამალლებელს და დიაკონს კი რაღაც შიშისაგან გული უძაგაგომს. ხალხი პირ-ჯვარს იწერს და დიაკონი კი სულ ფანჯარაში იცკირება — მებატონის სახლისაკენ. წირვა მიღის თავის წესით. დიაკონმა „რომელი ქერობიმთას“ გალობა დაიწყო;

უცებ ეკლესიის კარები გაიღა და ეკლესიში მე-  
ბატონეს ოჯახი შემობრძნდა, მლოცველები გაიწ-  
გამოიჩინ და ბატონი მიუშეს თავის დანიშნულ  
ალაგას. ბატონი ხმა მაღლა აცხადებდა ჩემხედ თავის  
უკმაყოფილებას, რომ მას არ მოუცადე და წირვას  
ისე შეუდექი. ივანე ლიაკონმა მომიტანა საცეკლური  
და წამომჩქრჩეულა: „აკმიე ჯერ საკურთხეველში,  
მერჩეთ მებატონეს და ბოლოს ხატებს.“

— მს რა გემართება, ივანე, რას ამბობ?!

— თუ ღმერთი გწამს, გამივინე, ნუ იღუპავ  
თავს!

მე მაინც არ დაუჯერე დაუკონს: ვაკმიე ჯერ  
საკურთხეველში, შემდევ ადგილობრივ ხატებს უკმაყ,  
ამის შემდევ მებატონის ოჯახს და მლოცველ გლე-  
ხობას. ქველა ამაებს ისე გაუჯავრებია ჩენი მება-  
ტონე, რომ როდესაც წმინდა ზიარებით გამოველ  
საკურთხევლიდგან, გლეხებმა უკელა მუხლი მოიდ-  
რიკეს და მებატონემ კი ზურგი შემომაშენია და  
ურანცისულათ რაღაც წაიბუტბუტა, ალბათ ჩემხედ  
ზიხლი და უკმაყოფილებას იტყულა.

წირვას შესრულების შემდევ მინდოდა მურა  
სიტყვა მეთქა მრევლისათვის. გამოველი ამპიონ ზედ,  
დავდექ დანიშნულ ალაგას უწივნთთ და ურვეულოთ,  
რომელსაც ახლა „მოუმხადებლათ“ უწოდებენ და  
ჩენის დროში კი ამ გვარ ქადაგებას უწადაბენ „ნი-  
ჭით“ ქადაგებას და დავიწყე სახარების სიტყვებით:  
„ეძიეთ, უწინარეს ყოვლისა სასუურელი ღვთისა და  
სიმართლე მისი...“

„პრა ერთისა მწუხარებითა შემოვზივრ მე  
თქვენში, საყვარელნო შვილნო; არა უმწუხართ  
მეთქი, მიტომ, რომ ვხედავ იმ სიღარბეს, რომელიც  
ავრე გტანჯავსთ, ქედავ თქერზედ ღეგის წყრომას...“  
წარმოვსტექი თუ არა ეს სიტყვები, რომელნიც მას  
აქეთ კიდევ არ დამიტყებია, უკელას ეკკლესიაში  
მყოფ ხალხს დიდს, პატარას, მახუცებულს და ახალ-  
გაზდას უკელას თვალებზედ ცრებლები მოუვიდათ და  
მებატონემ შემომხედა და არამც თუ მითხრა რამე,  
არამედ ხმა მაღლა შემომიყვირა „სულლო“.“

მე იმ წამსვე როგორლაც თვალები დამიბნელდა,  
უურებში ბჟებური დამიწყო, მინდოდა სიტყვასათვის  
თავი დამენებებია, მაგრამ უუვალმა ღმერთმა შემამა-  
რა, და ისევ განვაგრძე ჩემი სიტყვა. „რა უნდა  
გითხრათ სანუკეშო, მართლ-მაღალდებელნო, სად არის  
საშუალება უბედურების და ტანჯეებისაგან განთავის-  
უფლებისათვის? მძიეთ ნუკეში ისევ უუალ ღმერთში,“

იგია ჩენი მფარეველი, გამომხსნელი და დამჯალდო-  
ვებელი. ზახსოვდესთ მეგობარნო, ჩემნო, რომ  
უკელაფერი უბედურება, ბედნიერება, ცეცხლი, ავათ-  
მყოფობა, მოუსავლთანი წელიწადი და სხვანი იგზავ-  
ნება ღვთისაგან. იგია თვით-მპატობელი, რომელიც  
გსჯისთ თქენ უსამართლო მსაჯულებით, შემავიწ-  
რობებელი მებატონებით და სხვანი.“ ამ სიტყვებმა  
გამოიწვია ხალხში არამც თუ მარტო ცრემლი, ხმა  
მაღლა ტირილიც; მაგრამ ამავე სიტყვებმა მომაყნა  
უსიამოვნებაც.

რრი თვის მღვდელი ვიყავ, ჯერ კრდევ არ ვი-  
ყავი შეჩევული ჩემს მრევლთან, ადგილობრივ გარე-  
მოებასთან, რომ უეცრივ მორბის ჩემთან მებატონი-  
საგან გამოვზავნილი კაცი და მეუბნება, რომ  
მებატონე ფიცხლავ თავის კანტორაში გიბარებსო. რა  
ამბავია, ვფიქრობ ჩემთვის; მებატუნემ პირველ  
დღესვე ჩემი სამსახურის დაწყებისა არ მიმიღო, თავის  
შინაური სამსახურისათვის ყოველთვის მეზობელ  
მღვდელს პატივობდა, ეკკლესიაშიდაც სხვაგან მას-  
ლობელ სოფელში დადიოდა, მაგრამ მაინც ჩავიცვი  
ტანისამოსი და წაევდი ბრძანებისა მებრ. პანტორა  
მღებარეობდა მებატონის სახლის პირ-და პირ ერთ  
ეზოში. შევედი ეზოში და გულა კი მიწუსს, ჯერ  
მისთვის, რომ არ ვიცოდი, რასთვის მიწოდებდენ და  
მეორეც ძალლების გროვისა, რომელთაც შესვლისა  
თანავე შემომიტებეს. ძალლები შემომესინ ყოველ  
მხრივ და არ ვიცოდი რა მექნა; მხოლოდ ერთი  
ვრაც კეთილ-კაცი მომეშველა, ვგონებ მზარეული  
იყო, მაგრამ შეხედა თუ არა მას ბატონშა, ერთი  
სასტრიკის ხმით შეჰკერდა: „ივანე, შენ ადგილას და-  
დექ! მაცი, რომელიც უნდა მომხმარებოდა, მაშინვე  
უკან დაბრუნდა და სამზარეულოში შევარდა და ჩემს,  
საბერინიეროთ, ძალლებიც მას თან გაჰყენენ. შევდი-  
ვარ კანტორაში და წარმოიდგინეთ ჩემი გაკვირვება—  
ეხედავ ადგილობრივ ბლალოჩინს და დეპუტატს.“

ბლალოჩინმა არც კი მომუა ნება, რომ თავი  
დამეტა როგორც რიგი იყო, ისე შემომიტია:

— მს რა მოგიფიქრნია, ეს რა გიქნია მიყვი-  
როდა მ. ბლალოჩინი.

— მე არაფერი არ მიქნია და არც არაფერი  
ვიცი. მე ისიც არ ვიცი, რაზედ მკითხავთ, მამაო  
ბლალოჩინო.

— არ იცი? მავნებელი სწავლის გავრცელება  
ხომ კარგათ იცი ხალხში?

აქ უნდა შეენიშნო, რომ ორმც-და-ათ წლის უკან რუსეთში ეყრ გაიგონებდით ამ გეარ სიტყვებს, რომლებიც ასე გავრცელებულია ეხლა ჩენებში, მაგ. ნივილისტი, სოციალისტი, ლიბერალი, კომუნისტი და სხვანი და ყველა ამ საზოგადო უწოდებლენ ერთ სახელს „მასიონი.“ ამ გეარი სწავლის გავრცელება მომაწერა მეც მამა ბლალოჩინმა, მაგრამ თავისით კი არა, არამედ იმ დაბეჭდებით, რომელიც იყო გაპ-ზანილი ჩემზე მებატონისაგან მოსკოვის მიტრო-პოლიტ ფილარეტთან, რომელმაც ეს ქალალი ყოვ-ლად სამღედლოს გარდმოსცა.

მებატონე სწერდა. ჩემზედ მიტროპოლიტს, რომ თითქო მე გლეხებს ვაჯან ყებლე მებატონეს წინააღმ-დევ; რომ მე პირველ წირვაზედ ვიქადავ ჩემი „ჭეუით“, რომელშიცაც გავატარე ის აზრი, რომ გლეხებს მე-ტონები სიცოცხლეს უმწარებენ, ავიწროებენ, და მეც მის აზრით მანებელი კაცების კრებას ვეკუთვნი. ამ დაბეჭდების გამო იყო ჩემზე დანიშნული სასტი-კი გამოძიება, რომელიც ჰქონდა მინდობილი მშ. ბლალოჩინს და დეპუტატს.


ჯერ შემომიყვირა, შემფახა და შემდევ მიპყო ხელი გამოძიებას მმა ბლალოჩინმა, ჯერ სიტყვიერათ, თუ როგორ და რაზედ ესთქვი მე პირველ წირვაზედ ეკულესიაში და შემდევ მომთხოვა, რომ იქვე, კანტო-რაში სიტყვა სიტყვაზედ დამეწერა ის სიტყვა ქა-ლალზედ, რომელიც ეკულესიაში წარმოვსთქვი. ჩამომართვეს ჩენება, მიიღო ჩემგან დაწერილი სიტყვაც და შემდევ შეულევნ გლეხების ჰყითხეას. ჯერ დააფიცეს ყველანი და აუხსნეს ფრცის ძალა, რომ ვალდებული არიან სრული იმპარატორი და ჭეშმარი-ტება აჩენონ. სანამ გლეხების კითხეას დაიწყებდნენ, შემოვიდა კანტორაში თვითონ მებატონე და დაუგ-დო ყური გლეხების ჩენებას, რომელსაც მამა ბლა-ლოჩინი ართმევდა.

აი, აქ კი, ჩემი საყვარელო მევობარო, ვიგვრძე მთელი ძალა სასულიერო სამსახურის დიდებისა! ზღეხები ერთბაშათ ამტკიცებდნენ, რომ მათში მე არათვერი აჯანყება არ მომიხდენია, რომ ვერ გამა-ლარან ჩემი შვერიერის მღვთის მსახურების სმენით ეკულესიაში, რომლისათვის უფალს მაღლობას სწი-რავნ, რომ ჩემში მან მოანიჭათ გლეხობას მკვიდრი მამა.

ამ გვარ ჩენების ყურების დროს ეყრ შევიცავ ურთიერთობა და ურთიერთობა ურთიერთობა მამა.

კი პირი ფანჯრისაკენ და დაიწყო ტირილი, მაგრამ მ. ბლალოჩინი ისე გამაგრდა, როგორც კულდე, მებატონე კი როგორც გაფიტრებული მხეცი ისე იყურე-ბოლა. საღამოს ქამს მებატონეს სამეჯინიბრდგან გა-მოისმოდა ტირილი და ყვირილი საბრალო იმ გლე-ხისა, რომლებიც გაროზგა მებატონემ ჩემდა სასარ-გებლია ჩენების მიცემისათვის.

თ. ხუკვივაძე.



უგანასკნელი დღეების ზოგიერთი საინტერესო

## ცელებრძოლება.

14 ოქტომბერი

პეტერბურგი. გამოუცხადა შემდეგი უმაღლესი ბრძანება ჯარსა და ფლოტისა: „დღეს დიდის ამბით და დღესასწაულობით აღმართა ძეგლი სასსოფლად თმისა თამაჯუოთან 1877 1878 წლებში. ეს ძეგლი იყოს საუკუნისა სასსოფლად იმ მეომართა თავ-განწირულობისა და მამაცობისა, აღმენისა და და-დება შესძინეს ჯუსეთის დროშას და სახელსა. ამ სასა-ჯადულო და სასისარულოს დღეს მოგმართავთ თქვენ, ჩემის მამაცობის ჯარსა და ფლოტის მხედართ უფროსნო, ადმინისტრაცია, ავიაციებო, ჯარსა-გარნიზო და მატრიცები იმიღვი. რომ გითხვათ, მე მოწიმეს თქვენი შეურევე-ლი ერთგულებას, თავს ვაწონებ თქვენის სახელოვანის საქმით და სამსახურით და მთელ რესპუბლიკას ერთად მა-დლობით სავასე გულით გასსენიბ იმ დიდს დგენერაცია, რო-მელიც თქვენ მიგიძვით ტასტრისა და სამშობლოს წა-ნაშე. ეს სატრევები დახმარებ როგორც ჩემას, ისე მთე-ლის რესერვის ერის შეურეველ რწევის ნიშნად, რომ შემდეგშიც უღვეს გვარ განსაცდელში, რომელსაც ეს დევთის განვება მოუვლინებს რესერვს, რესერვის ჯარი და ფლოტი სამსედოსა ქვედობისა და დაუკინობელ დიდების სამაჯულზე დაგება უღველოვას და სამარად-ოსდ, იმ ქვედობის და დადების სიმაღლეზე, რომე-ლიც ჩენება წანაპირობის შეგვძინეს ჩვენ და დღესაც ჩვენ თვალ წინ ასე ღირსეულად იყო დაცული და ამაღლებული.

დიდი მთავარი კლადიმირ ალექსანდრეს მე მეუღ-თ 12 ოქტომბერს შეადამისას სამზღვაო გარეთ დანართისა

წარსულ გვითაც ერმიტაჟში გამართულ სადიღზედ  
მოწევულინი იუვნენ უკელა გენერალები და აფიცენები, რო-  
მელთაც მისაწილება მიღლოთ წარსულულ იმში. სადიღის  
ბოლოს სელმიწივე იმშერატორმა ჭიქა აღლ ხელში, იქ  
მყოფთა სადღეგრძელო მიირთვა და მაღლობა გადაუხსადა  
ერთგულის სამსახურისთვის. ამის შემდეგ დიდმა მთა-  
კარმა ნიკოლოზ ნიკოლოზისძემ დარია სელმიწივე  
იმშერატორმა სადღეგრძელო და სთექას „გეგამ იმის  
სადღეგრძელოს, რომელიც თოოქმის რვა თვეში გამავ-  
ლობაში წინამდებრობდა ჯარსა, რომელიც ჭიქაუდა და-  
ურღვეველ კედელისმებრ მთელის დუნაის ჯარის მემარ-  
ცხენე და შეარსა და რომელიც კერავთარმა ცდაში და  
ღონებ კერ დასძლა. თემიცა ერთი-ორად მომეტებული  
ჯარი მოტისა ებრძოდა. დღე-გრელ იუს რუშებულის ჯა-  
რის წინამდღვარი, ურა!“ ამ სადღეგრძელოზედ სელმიწი-  
ვე იმშერატორმა მიირთვა სადღეგრძელო როისავე  
გენერალ-უკლდმარშლისა.

**უშრევო.** სადხის და ჯარის უკმაყოფილება თან-  
და-თან უფრო ჭირულობს ბოლოგარის მთავრობის მი-  
მართ. უფლისა, სდივისა და ზოგიერთ სხვათა ქალაჭ-  
თა მეცისოუნები გულ-ამაღლებული არან მთავრობაზედ.  
ჭომ-პალანკში აღმოჩენილ იქმნა სამხედრო შეკვეულო-  
ბა მთავრობის წინამდღებ და იმულებულ იუვნენ ვად-  
დინიდგან დაებარათ ჯარი, რომ წესარება ჩამოეგდოთ.  
რეგენტები ჭირობენ, რომ ფეხ-ჭირებ მიწა ერუევათ და  
ცდილობებ გააკრცელონ საღსში ხმა, ვითომ ბოლოგარი-  
ს მთავრობა და რესერთ მოურავდნენ ერთმანერთსათა;  
ხოლო არამც თუ არ მორიგებული, არამედ მნელად თუ  
მორიგება ჩამოვარდნეს გულდებისა გამო. გე-  
ნერალმა კული რემა თვითონ და რესერთის კონსულების  
შემწებით კედავ გამოსცხადა, რომ დადი საერო გრება  
უკანონოა და უკელასაგა მას გარდაწევატილებას განთ-  
ვირთ ძალა არ ექმნება.

**ვლაძივასტოკი.** კლმისიას, რომელსაც სახელ-  
მწივო მივნა უნდა გაეცენა ჩინებასა და რესერთ შო-  
რის, სამსრეთ უსურიის მსახურში თავისი საქმე გაუთავე-  
ბია. მივნა გამბაზეა გადაღებული და აღგილზედ ჭის  
სკეტისთაც არის დანიშნული.

### 15 თეტრომბერის.

**პეტერბურგი.** „Правительственныхъ Вѣстникъ“-ი  
იუწიება, რომ თადგანაც ბოლოგარიაში უწესებაა, ჩინებ  
კუნისულება მოკლებული არან დონისძიებას დაიფიც.

კანონიერი ინტერესების რესერთის ქვეშეკლდობა, რო-  
მელინც ბოლოგარიაში არან. მას შემდეგ რაც გენერალი  
კავულისა ვარინდამ წავიდა, მაგალითები იყო, რომ  
რესერთის ქვეშეკლდობი დამწუგდის და ამისათვის სოუ-  
ლიად უკანონო საბუჟება მოჟყვათ მიზეზად. ამისთანა  
გარემოებათა გამო, ამ დღეებში ვარნაში გაგზავნილი  
იქმნენ გემები «ვანიკა» და „Память Меркурий“.

**უშრევო.** სადღეისოდ დანიშნული დიდი საერო  
კრება რამდენისამე დღით გადადგა. ბეკომა წილმა დე-  
პუტატმა გადასწევიტა, მონაწილეობა არ მაიღისა კრე-  
ბაში. შორის ეწინააღმდეგება რესერთის დეპუტატთა  
მონაწილეობას კრებაში. ამბობენ, რომ კრების მოწყვ-  
დების დროს ცალებ დეპუტატთა წარდგება კვრუბის სა-  
ხელმწივოთა კართა წინაშე, რომ სცნას მათი აზრი  
სოლგარის ცალების კანდიდატის თანახაზე.

**ნიში.** სერბია და ბოლოგარი ერთმანეთს მოშეკელ-  
დნენ, რომ ადადგისონ დილითმატიური მისკლამისკლა  
ერთმანეთთან. დოქტრინი სტრანგება დანიშნა ბოლოგა-  
რის მხრით სადისათმატო აგენტად ბელგრადში.

## გრიგორიები.

მიმდევა ხელის-მოჭირა 1886 ფლისთვის ჩართულ  
საულიერო გაზიროს

### „მწერემს ზედ“

და „მწყვევის“ რუსულ დაპატივაზე.

მიზანი და დანიშნულება გაზეთისა: 1) შეკრული-  
ნის სამღვდელო და საერო წოდებას უკელა განგრებუ-  
ლება და მოქმედება უმაღლესთა სასულიერო და სახორ-  
ციელო მართებლობათა, კონსისტრიციათა და მდგრელ-  
მთავრთა, რომელთა გამოცხადება შესაძლო იქნება; 2)  
გააკრცელოს ქართველ სასულიერო წოდებაში და საღსში  
სალიტერატურო წარმალური და ცოდნა საექსპლაირო და სა-  
ზოგადოებრივი ცხოვრების კითხვებთა გამო; 3) გააკრ-  
ცელოს საქართველოს სამღვდელო და საერო წოდებაში  
სწავლა და მეცნიერება ქრისტიანობრივი კეთილს ზენო-  
ბისა და საწმინდებისა და 4) აუსენას და განუმარტოს  
სამღვდელო და საეკვესიო მოსამასაურე პირთა ზო-  
გიერთა საქვერ გითხვები, რომელთა ცოდნა მაუცილე-  
ბელ საჭიროებას შეადგენს მათების მტკიცედ მათი მო-  
გლეობის ასრულებისათვის.

ზემოთ თქმულ სიტუაცია-მებრ პროგრამმა გაზე-  
თისა შეიცვალს ოთხს განცოდილებას.

შარველ განცოდილებაში დაისჭიდებას დოლ-და-  
ლო: თვითიალური კანკარტულებათ უმაღლესთა სასუ-  
ლიურო და სასორციულო მმართებლობათა, გრანსიატო-  
რიათა და მღვდელ-მთავართა.

შეორუ განცოდილებაში დაისჭიდებას:

1) სალიტერატურო სტატიები, შენიშვნები და  
გრანტებისთვის საჭიროებულის საჭიროების საეკლესია  
და საზოგადოებრივი ცხოვრების კითხებთა და სანდის.  
სას ჟურნალის და უცხოეთის საღამოთა ცხოვრების შეს-  
ხებ. 2) აღწერილობანი სურათებით ყოველთა მათ, რაიცა  
ისტორიულად შესანიშნავია საეკლესია და არქეოლო-  
გიის მხრით ჩვენის მსარეში. 3) გარჩევა სასულიერო  
ქართულ და რუსულ წიგნთა და თხზულებითა. 4)  
მიმღები და გარჩევა საერო წოდების უურნალ-  
გაზეთთა შესახებ სამღვდელოებისა და ეპგლესიისა. 5)  
სხვა-და-სხვა მღვდელ შენიშვნები და ამბები ადგილობრივი  
ცხოვრებიდამ და საერო წოდების გაზეთებიდამ გამოკ-  
რევილი და 6) უკანასკნელი დროების ზოგიერთი შე-  
სანიშნავი ტელეგრამები.

მესამე განცოდილებაში დაისჭიდებას:

1) უწარჩინებულებისა სალიტერატურო სტატიები  
შესახებ ქრისტიანობის საწმინდოებისა და გეთილ-  
ზენობისა, ესე იგი, ქადაგებანი, უბრობანი, მიწერილო-  
ბანი, მოძღვრებანი, შესამანი და სხვ. როგორც ქარ-  
თულს ენაზე თქმულია და დაწერილია, აგრეთვე რუ-  
სულს ენაზე ნათევამნი და დაწერილი გამომთარგმნით.  
2) მოვლე აღმოწერა წმიდა მამათა წერილებთაგან  
ჩვენი ქვეუნის სამღვდელო და საერო წოდების შირთა  
სახლმმღვდელოდ. 3) სულის და გულის ამამღვდე-  
ლებინა გაზისხვანი, სულიერნი თხევნი და დარიგებანი,  
გეთილ-მსახურების მაგალითი, სახმარნი და მარგებელი  
უკეთ წოდებაში და გარემოებაში. 4) ცხოვრება წმი-  
დათა სურათებით, გრაფიკად და შემოქლებულად, რო-  
გორც საქართველოს ეკვლესიისა, აგრეთვე რუსეთისა.  
5) უწევებანი მიცემებულთა, ცხოვრების და სამსახურის  
აღწერა გარდაცვალებულთა შირთა, სურათებათ, რომელ-  
ნიც მსახურებდნენ, ანუ სცხოვრებდნენ ჩვენს ქავენაში  
და რომელთაც დაგვატოვეს მაგალითი ქრისტიანობრივის

კეთილ. მსახურებისა თვითსითა და შერმითა,  
მოქმედებითა და უოფაქცევითა. და) სსკა და-სხვა მოთხ-  
ოლისანი ჩვენი და ჟუსეთის საღსის ქრისტიანობრივი  
ჩვეულებისა, მღვმედებისა და უოფაქცევის შესახებ.

მეოთხე განცოდილებაში დაისჭიდებანინ:

სხვა-და-სხვა დაზიგებანი და სახლმმღვდელო  
კითხებისა აღსანა, რომელთა ცოდნა საჭიროა და სასარ-  
გებლო უკედა სამღვდელო და საეკლესია მოსამსახურ  
შირთათვის. ამაშივე დაბეჭდების სსკა-და-სხვა სასარ-  
გებლო აღსანა, რომელთა ცოდნა საჭიროა და სასარ-  
გებლო უკედა სამღვდელო და საეკლესია მოსამსახურ  
შირთათვის. ამაშივე დაბეჭდების სსკა-და-სხვა სანარევა  
ცნობები საზოგადო და საეკლესია ცხოვრებიდამ და  
და გრიცხადებანი.

გაზეთი „მწყემსი“ გამოვა თვეში საჭერ, თორმეტი  
გეგმით და სანდის-ხან თექვსმეტიც. რუსული დამატება  
„მწყემსი“-სავე პროგრამით და მიმართულებით გამოვა  
თვეში თორმერ, ორ უკაცლებდე თათო ნომერი.

### თასი გამოცემისა:

მთელი წლის გაგზავნით . . . . .	5 მან.
ნახევარი — — . . . .	3 —

„მწყემსი“ რუსული ლოკვირეული დამატებით:

მთელი წლის გაგზავნით . . . . .	6 მან.
ნახევარი — — . . . .	4 —
ცალკე რუსული დამატება წლით . . .	3 —
ნახევარი წლით . . . . .	2 —

წერილების გაგზავნა და პირს-პირ მოღამარებება რე-  
დაქტორთან შეიძლება რედაქტორიში, რომელიც იმულება  
და ეკირილება რედაქტორის საჭიროს სახლებში.

გაზეთის დარიგება შეიძლება ამ ადჯესით; Въ  
Квирилу, въ редакцию „МЦКЕМСИ“ (пастырь). უკა  
ცილაში, „მწყემსი“-ს რედაქციაში.

შინაართი: როგორ ვდგესასწაულობრ ეხლა-  
დება ქართველები რამთას დღების? — თბილისიდგან. —  
საისტორიო მასალა. — თქოს გული. — ტელეგრამები. —  
განცხადებანი.